ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N48

28.01.2025 წელი
13:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 28 იანვარს 13:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი) და **ანა კილაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, ამავე სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა**, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 (სამი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032502486-03, 24.01.2025წ.),*
მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის 2025 წლის ბიუჯეტში შემავალი ცვლილებების შესახებ ინფორმაციას. მოგეხსენებათ, რომ ცვლილებით ბიუჯეტში გარდამავალი ნაშთის ასახვა ხორციელდება, ნაშთი შეადგენს 209 684,9 ათას ლარს, აღნიშნულის გათვალისწინებით ბიუჯეტი იზრდება და შეადგენს 2 192 862,9 ათასი ლარს. აქედან 80 103,0 ათასი ლარი წინა წლიდან გადმოყოლილი ვალდებულებების დაფინანსებას მოხმარდება. რაც შეეხება სხვა პროგრამებს ასევე იზრდება განვითარების ფონდი 15 595,0 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურის სამსახური 15 353,0 ათასი ლარით, გარემოს დაცვა 22 647,0 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაცია 423,0 ათასი ლარით. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის დაფინანსება 9 269,0 ათასი ლარით, აქედან ინფრასტრუქტურული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა 7 019,0 ათასი ლარი, ხოლო სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია 2 090,0 ათასი ლარი, ასევე კულტურის მიმართულება გახლავთ 160,0 ათასი ლარით მატება. იზრდება ბაღების სააგენტოს დაფინანსება 16 813,0 ათასი ლარით, აქედან 12 425,0 ათასი ლარი გახლავთ კაპიტალური პროექტების მშენებლობები დანარჩენი კი სუბსიდია. ასევე თავისუფალი ნაშთით, რომელსაც ველოდებოდით და შეადგინა 80 000,0 ათასი ლარი ნაწილდება შემდეგი მიმართულებით, 7 000,0 ათასი ლარი ეკოსერვისს, 6 000,0 ათასი ლარი გარემოს დაცვას, 17 000,0 ათასი ლარი ბაღების სუბსიდია და 50 000,0 ათასი ლარი სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდიას მოხმარდება. გარდა ამისა 20 484,0 ათასი ლარი დაემატება რაიონულ გამგეობებს, როგორც ბიუჯეტის დამტკიცებისას ვისაუბრეთ. ასევე ერთჯერადი თანხები ემატება სამ რაიონს, სამგორის და ჩუღურეთის რაიონებს, შენობების რეაბილიტაციისთვის, ხოლო დიდუბის რაიონს 400,0 ათასი ლარი ემატება აფეთქების შედეგად დაზიანებული კორპუსის მომსახურებაზე, კონტრაქტის გასაგრძელებლად. 900,0 ათასი ლარი და 697,0 ათასი ლარი ემატება თბილსერვის ჯგუფს გარეგანათების და სანიაღვრე ქსელების მოწყობისათვის. 1 765,0 ათასი ლარით ვზრდით სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, რაც მოხმარდება რიყის ტერიტორიაზე დანგრეული რესტორნების კომპენსაციას და სხვა საქმეებს. გზების შეკეთების ნაწილში 500,0 ათასი ლარი ემატება ინფრასტრუქტურის სამსახურს, ვაშლიჯვარში საავტომობილო ხიდის რეკონსტრუქციისთვის გამოიყოფა 5 600,0 ათასი ლარი, 3 100,0 ათასი ლარი გამოიყოფა ყაზბეგის გამზირზე კორპუსის გამაგრების სამუშაოებისთვის. ასევე 1 500,0 ათასი ლარი გამოიყოფა მუნიციპალური ლაბორატორიისთვის ავტოპარკის და საჭირო ინფრასტრუქტურის განახლებისთვის. მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ემატება 3 500,0 ათასი ლარი ლიცენზირების შესასყიდად, რაც ყოველწლიურად ესაჭიროებათ. ბიგ-ბენდს ვუმატებთ 100,0 ათას ლარს ჯაზის საერთაშორისო დღის მოსაწყობად, რომელიც გაიმართება აპრილის ბოლოს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლს მიმდინარე წელს გახსნისთვის ვუმატებთ 450,0 ათას ლარს ავეჯის და სხვა საჭირო ინვენტარის შესაძენად. ასევე 565,0 ათასი ლარი ემატება მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამას.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გურამ ოქროპირიძე - მადლობა მომხსენებელს, აღსანიშნავია კომისიის რეკომენდაციის გათვალისწინების საკითხი, დედაქალაქის მერმა, 2025 წლის ბიუჯეტის წარდგენისას ისაუბრა მწვრთნელთა ანაზღაურების ზრდაზე, მინიმუმ 10%-ით, აღნიშნული ცვლილებით ეს დაპირება

შესრულდა და რაც მთავარია არა 10%-ით, არამედ მატება მოხდა 20%-ით, რისთვისაც მადლობას ვუხდით დედაქალაქის მერს და საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს. მინდა სიტყვა ვთხოვო კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელს ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, 2025 წლის ბიუჯეტის ცვლილებით, ჩვენი საქალაქო სამსახურის მიმართულებით არის ზრდა, რაც მოხმარდება ვარკეთილში არსებული სტადიონის მშენებლობას და აეროპორტის დასახლებაში, ჭიდაობის დარბაზის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებას, სხვა გახლავთ მიმდინარე ტიპის პროექტები და გარდამავალი ნაშთების ასახვა. რაც შეეხება დიღმის მასივში არსებული სპორტული ცენტრის სამუშაოების პირველი ეტაპის დაწყებას, ვფიქრობთ, გაზაფხულის ცვლილებაზე იქნებ გაჩნდეს შესაძლებლობა ბიუჯეტის გამოყოფის. ასევე, მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამის გაზრდა სასიხარულოა, ინიციატივის ხორცშესხმაში დიდი წვლილი შეიტანა საკრებულოს მხარდაჭერამ. თებერვალში, ვფიქრობთ, სამინისტროსთან ერთად შეხვედრას სხვადასხვა ფედერაციებთან და მწვრთნელებთან, სადაც სამომავლო პროექტების და ინიციატივების შესახებ ვისაუბრებთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ანა კილაძე - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა -(0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის №49-97 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე